როდესაც იხილავთ ახალ მთვარეს, დაიწყეთ მარხვა, და როდესაც კვლავ იხილავთ მას, დაასრულეთ იგი. თუ კი ის ღრუბლების გამო დაიფარება თქვენგან, მაშინ შეავსეთ თვე ოცდაათი დღით

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰის იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიოდობა მას) ამბობდა: «როდესაც იხილავთ ახალ მთვარეს, დაიწყეთ მარხვა, და როდესაც კვლავ იხილავთ მას, დაასრულეთ იგი. თუ კი ის ღრუბლების გამო დაიფარება თქვენგან, მაშინ შეავსეთ თვე ოცდაათი დღით».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაამტკიცა რამადანის თვეში მარხვის დაწყებისა და დასრულების ნიშნები, როცა თქვა: "როდესაც იხილავთ რამადანის ახალ მთვარეს, დაიწყეთ მარხვა. თუ მთვარესა და თქვენ შორის ღრუბლები იქნება და ის დაიფარება, მაშინ შა'აბანის თვე შეავსეთ ოცდაათი დღით. ხოლო როცა იხილავთ შაუვალის ახალ მთვარეს, დაასრულეთ მარხვა. თუ მთვარესა და თქვენ შორის ღრუბლები იქნება და ის დაიფარება, მაშინ რამადანის თვე შეავსეთ ოცდაათი დღით".

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4549